შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/07/05-004
05-07-2024 წ

მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს,

კომისიის წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ბატონ ივანე მახარაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,

წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ შენიშვნებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ საჯარო კონსულტაციების ფარგლებში გამოქვეყნებულ ,,რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილების პროექტთან (შემდგომში - პროექტი) დაკავშირებით.

საკითხების ჩამონათვალი, რომელიც განსამარტია კომისიის მიერ შემდეგია:

1. პროექტის თანახმად, ITU-ს პირველი რეგიონისთვის განსაზღვრული მომსახურებების გათვალისწინებით, 3800–4200 მჰც სიხშირულ დიაპაზონისთვის განკუთვნილ გრაფაში, მე-4 სვეტში (გამოყენება ეროვნულ დონეზე), დაემატა ჩანაწერი „მობილური გამოყენებები“. შესაბამისად, მოცემული დიაპაზონისთვის ევროკომისიის მიერ CEPT-ისთვის მიცემული მანდატის გათვალისწინებით განისაზღვრა გამოყენების წესი არაავტორიზებული პირების მიერ დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებებისთვის. ორაზროვნების გამოსარიცხად, გთხოვთ, მიგვითითოთ შესაბამისი კონკრეტული მაგალითები. ამასთან, გთხოვთ განვიმარტოთ, ექნება თუ არა შესაძლებლობა ავტორიზებულ პირს გამოიყენოს 3800-4200 მჰც სიხშირული დიაპაზონი დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით?

2. პროექტის თანახმად, 2500-2700 მჰც სიხშირული დიაპაზონისთვის განკუთვნილ გრაფაში, მე-4 სვეტს (გამოყენება ეროვნულ დონეზე) დაემატა ჩანაწერი „წერტილი-მრავალწერტილი“. ასევე, მე-5 სვეტს (შენიშვნები) დაემატა ჩანაწერი „წერტილი-მრავალწერტილი: მაუწყებლობის ტრანზიტის დანიშნულებებით, მეორადი გამოყენების უფლებით რადიოსიხშირული ზოლისთვის 2500-2700 მჰც (მობილური გამოყენების გარდა)“. სიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმის თანახმად, 2500-2690 მჰც სიხშირული დიაპაზონი განკუთვნილია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწისზედა სისტემებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სიხშირული დიაპაზონი გამოყენებული იქნება ავტორიზებული პირის

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 240705004

Ш-24-6/2917
05.07.2024
2ფურც.

მიერ მობილური სერვისებისთვის, რა მექანიზმებით მოხდება ხელშეშლების თავიდან აცილება მობილურსა და წერტილი-მრავალწერტილი მაუწყებლობას შორის.

პატივისცემით,

ზურაბ ზარიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

დოკუმენტის ნომერი: **240705004**

Digitally signed by MagtiCom LLC
2024.07.05 11:03:11 +0400
მაგთიკომი
MAGTICOM